რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივ ციცერით — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## განცხადება

ქუთაისის ქალაქის გამგეობა, შეუდგა რა მომავალის ქრისტეშობის თვეში ქალაქის სამართველოს ამომრჩევლებთა სიების შედგენას, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალს ღვინობისთვის პირველ რიცხვამდის, იქნეს შემოტანილი მცხოვრებთაგან ქალაქის სასარგებლოთ ხვედრი გარდასახადი, ყოველი გვარი გარდასახადისა, ვიდრე 1880 წლამდე, რადგან 1964 სტ. II ტ. ნაწ. I გამოც. 1876 წ. ძალით, სხვათა შორის, გარდასახადის გარდუხდელობაც ართმევს მცხოვრებთ ხმის უფლებას.

გამგეობის წევრი: Ივ. მესხი.

(3—2)

---

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდის, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 9 აგვისტოს. „მართებლობის უწყებებში“ სწერენ: გუშინ ცარევნის პარახოდზე მემკვიდრე ცესარევიჩი წაბრძანდა შვეციაში და დანიაში.

გამოვიდა ბრძანება, დროებით, ახალ წესდების დამტკიცებამდის, მიეცეს ნება სახალხო განათლების მინისტრს შეადგინოს უნივერსიტეტების ინსპექციაზე ახალი ინსტრუქცია, და ამასთან სტიპენდიების, ლგოტების და შემწეობის რიგი და შემოიღოს ის ყოველს უნივერსიტეტში. ოკრუგის მზრუნველებს ექნებათ ნება ინსპექციის წევრთ გამოცვლისა გენერალ-გუბერნატორების თანხმობით. ინსპექტორებს ამტკიცებს მინისტერი, ინსპექტორის თანაშემწეებს კი თითონ მზრუნველები.

ათენი, 9 აგვისტოს. კოროლის დეკრეტით მოწოდებული ბაირაღ ქვეშ 8000 კაცი ტერიტორიალურ გვარდიის მეორე წყობისა. კოროლმა ზანტეზე წასვლა გადასდვა.

ოდესსა, 9 აგვისტოს. დღეს გამოაცხადეს 28 კაცის სასჯელი. ჩუბაროვი, ლიზოგუბი, დავიდენკო, ვიტენბერგი, ლოგოვენკო უნდა ჩამოაღრჩონ; გუკოვსკის უნდა გადაასახლონ. დანარჩენი 22 უნდა გაგზავნონ კატორღაში 10 წლით. ერთი სამუდამოთ. გენერალ გუბერნატორმა შეუმოკლა კუტიტონსკისას კატორღა ოთხ წლამდის; მატროსებს: სკორნიაკოვს და ნიკიტინს 8 წლამდის. დანარჩენების სასჯელი დაამტკიცა. ხვალ, ათ საათზე დილით, უნდა დაისაჯონ სიკვდილით ჩუბაროვი, ლიზოგუბი და დავიდენკო. ვიტენბერგს და ლოგოვენკოს ჩამოაღრჩობენ ნიკოლაევში.

---

## ფელეტონი

### რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ. *)

(პოემა)

„მაშინ შევიქენ მე ოცი წლისა...
კვეხნით არ ვიტყვი, ბევრ ჩემ ტოლს
ვჯობდი;
კარგად შემეძლო მოვლა სახლისა,
თუ გულს-მოდგინედ მივეშველოდი;
მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა...
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვლუპავდი,
შინ კი ოჯახი მელუპებოდა.

„ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჯ-ნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა...

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულ-ქვა, რეგვენი...
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა-ჩემი გულ-მოწყვეტილი
იახლა ამ გვარს უხამსსა ბატონს.

—„შენი ჭირიმე, უთხრა, ბატონო,
სახლ ვერ გაუძელ მე მარტო ხელი...
დამითმე შვილი... არ [illegible],
არ დამილუპო ოჯახი ძველი.

ბატონი.

—„რაო, რას ბოდავ?

მამა.

—„შენს სადღეგრძელოთ
ოლონდ ზაქარა შინ დამითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბატონი.

„ეგ რომ არ იყოს, გაექცევოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?..
ქოფაკო!.. მითამ მაგას ჰფიქრობდი
რომ მიბედავდი ე მაგის თქმასა.

მამა.

„არა მქონია მაგის ფიქრი მე
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ხედავს, მე დავსნეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულიად..
მარტო ვერას ვიქ, მთლად დავუძლურდი
თორემ ჩემს შვილზე არ შეგაწუხებ.
მინამ შემეძლო სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღე-და-ღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა.
აწ არაქათი გამიწყდა სრულად,
უდროოთ დავბერდი, ჯანი წამერთო,
ვეღარა ვუვლი ოჯახს ერთ-გულად,
თუმცა კი მინდა ხომ ხედავ, ღმერთო!.
ოჯახი ეხლა მელუპება მე,

---

*) ამ პოემის დასაწყისი იყო დაბეჭდილი „ჩონგურში“, საიდამაც ყველა ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ გაიცნო ის. მოგვყავს აქ ამ ჩინებული პოემის ბოლო ჩვენი მკითხველებისათვის.

**პეტერბურგი, 9 აგვისტოს.** „მართებლობის უწყებებში“ სწერენ: დიდი მთავარი პავლე ალექსანდრესძე დანიშნულია ფლიგელ-ადიუტანტათ დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინესძე დანიშნულია პორუჩიკათ; სტოლიპინი—გენერალ-ადიუტანტათ. პეტერბურგში მოვიდნენ ბოლგარიის აფიცრები, რომელთაც უნდათ მაღალ სამხედრო სასწავლებლებში შესვლა.

**პეტერბურღის ბირჟა, 10 აგვისტოს**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—37 |
| მეორე — — — — | 93—25 |
| მესამესი — — — | 93—50 |
| მეოთხესი — — — | 93—35 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92—— |
| აღმოსავლეთის, მესამე — | 92—12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—83 |
| ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | „—„ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— — | 232—75 |
| მეორე სესხის — — | 233—— |

1 მანეთი ღირს:

| | |
|---|---|
| ლონდონი — — | 25—1½ პენსი |
| ბერლინი — — — —— | ცენტი |
| პარიჟი — — — — —— | სანტიმი |
| ვენა — — — — —— | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | |

# საქართველო

## ორიოდე სიტყვა მცირე წლოვანთა ყრმათა მფარველობის საზოგადოების პირველ კრებაზედ.

ყველა განათლებულ ქვეყნებში დაარსებულან და არსებდებიან სხვა და სხვა კერძო საზოგადოებები რომელიმე კეთილი მიზნის მისახწევნელად. ყოველგან გამოჩენილან და ჩნდებიან მოწინავე კაცები, რომელნიც ემსახურებიან, თავიანთ ქვეყნის, თავის ხალხის კეთილდღეობას, წარმატებას, ბედნიერებას. ამ გვარი საზოგადოებისა და მოწინავე კაცების მიზანი არის—დაეხმარონ მთავრობას, ხაზინას იქ, სადაც ამათ თავის საშვალებით რაიმეს გაკეთება შეუძლოთ დაუნახავს. ყველგან დიდის თანაგრძნობით მიგებებიან, მიულიათ და სისრულეშიაც მოუყვანიათ და მოჰყავსთ ის აზრი‘ რომ რომელიმე მხარეს, ქვეყანას, ან ქალაქს, მთავრობის, ხაზინის დაუხმარებლად, კერძო საზოგადოებებსაც შეუძლიანთ რაიმე კეთილი საქმე გაუკეთონ! შორს რო არ წავიდეთ, ამისთანა მაგალითებს ჩვენ ჩვენშიაც ვხედავთ! მაგალითად, ტფილისში პირუტყვთ მფარველობის საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხ. ამგვარსავე მიზანს ემსახურება მცირე წლოვანთ ყრმათ მფარველობა, ნორჩი საზოგადოება, რომელიც ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღის არსებაა ტფილისშივე. ვამბობთ, ყველგან დიდი თანაგრძნობა დაუმსახურნია კერძო პირებთაგან ამ გვარ საქმეებს და ჩვენშიაც ამ უკანასკნელ წლებში (უფრო, ვგონებ, მიხედვით, მიბაძვით,—სანამ ნამდვილის თანაგრძნობით) ამ ღრმა ძილის შემდეგ, რომელშიაც აქამდისინ ტკბილათ, ნებივრათ განვისვენებდით,—ვხედავთ ამ გვარ მაგალითებს. ვხედავთ მეთქი, რომ ამისთანა საზოგადო, კეთილი საქმეები იწყობიან, მაგრამ, როგორც ვიცით, მკითხველო, ეს საზოგადოებები უფრო ფორმით, ქაღალდზედ იმუშავებენ, სანამ იქ, სადაც იმათი ნამდვილი ნიადაგია! და ამისი მიზეზი, უ. მკითხველო, ის არის რომ ჩვენ გულგრილათ ვუყურებთ ამ გვარ საზოგადო საქმეებს, მოძეტებულს შემთხვევებში ან მხოლოდ ფორმისთვის, მიბაძვით ვასრულებთ მას და ან სრულებით ყურადღებას არ ვაქცევთ. ამის დასამტკიცებლად მე გიჩვენებთ ახლად დაარსებულს ყრმათა მფარველობის საზოგადოებაზედ, რომლის პირველ კრებაზედ ცნობებს დღევანდელი ნომრის „დროებაში“ ჰნახავთ. ეს საზოგადოება შესდგება ისეთ დამაარსებელ წევრებთაგან, რომელთაგანაც ბევრი მხოლოდ დროს გასატარებელლად, საყურებლად დაესწრო სხდომას: მათგან დიდს დახმარებას ნუ მოელის ეს პატიოსანი საზოგადოება. ჩვენ აქ ბევრი არ გვინახავს იმგვართაგანი, რომელთაც შესამჩნევი დახმარება გაუწიოს საზოგადოებას სიტყვით, თუ საქმით, ჭკუით, თუ შეძლებით.

ამ კრებას მხოლოდ ერთი, ცოტათ თუ ბევრად შესამჩნევი, ქართველების წარმომადგენელი დაესწრო. თითქო ჩვენთვის, ქართველებისთვის, საჭირო არ იყოს ამისთანა საქმე; თითქო ცოტანი იყვნენ ქართველი მაწანწალა უბინაო, გარყვნილი ბიჭები ტფილისის და სხვა ქალაქის ქუჩებშიაც. წინააღმდეგ, ჩვენ,

---

კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!
ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კვნესამე
სინამ პატრონი ცოცხალი არი.
სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამილლია ძარღვი და მკლავი,
გამომიზდია ჩემის ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა;
მძიმე უღელი მე მიწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,
ამდენი ჯაფა გამიწევია
ნუ თუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროოდროთ, ადრე და მალე
მევე დავმარხო ჩემი გაზდილი?..
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!

ბატონი.

„მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვი კარგს მეძროხესა?
ვერა, ვერ მოგცე, შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაქს ჩერჩეტას!
მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა ერთი მაქვს ჰსჯობს ათასს მქონდესს...

მამა.

„მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს.
და შენს სახელსა მტლად დავედები.

ბატონი.

გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები.

მამა.

„რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა.
მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?
რა უყო, რა ვქნა, რა მეშველება.
მიბძანე, შენი კვნესამე, შენი?

ბატონი

—„თუნდ სულიც გაგძვრეს არ მენაღვლება...
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.

მამა.

—„შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში,
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვუ'ევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა, სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბატონი.

—„სუ!.. შე ქოფაკო!.. ჩაიკმიდე ხმა!..
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...

მამა.

—„როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით მკლამ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მილეპამ,
ბებერ-კაცს ლუკმა პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,—
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლს შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალ სიტყვასაც არ მათქმევინებ,—
ფუ!.. შენს სამართალს, შენს სამჯავროსა!..“

„ეს იყო, ძმო!... ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილის და მამის ულვთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექნა, აბა თქვი შენა?
ეხვეწებოდა განა ცოტასა
ის სულ წაწყმედილს საწყალი მამა!...
მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა
ვერ, ვერ დაულბო გული ხვეწნამა.
ისც კაცი იყო... ვერ მოუთმინა
იმედ-გაწყვეტილ, მოკლულმა გულმა
და რაც შიგ ჰქონდა სულ ათქმევინა
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.

(დასასრული შემდეგში)

ქართველობას, უფრო გვეჭირვება ამისთანა რამ, სანამ სხვას ჩვენს ქვეყანაში. თუმცა ეგ ეგრეა, მაგრამ ქართველობამ მაინც არ დაინახა საჭიროდ თავისთვის დასწრებოდა ამ კრებას და მონაწილეობა მიეღო. მე ვამბობ იმ პირებზედ, რომელნიც აწმყო, ან მომავალი რედაქტორები არიან (რომელი განათლებული კაცია ჩვენ ქართველობაში, რომ ან ეხლა არ იყვნენ რედაქტორებად და ან ფიქრად არ ჰქონდეს მომავალში მაინც რედაქტორობა); მათ შეეძლოთ და მოვალენი იყვნენ ამ საზოგადოების წესდების შედგენაში მონაწილეობის მიღება. მაგრამ, კიდე ვიტყვი, საჭიროდ არ დაინახეს, უთუოდ მოდნა არ უნდა იყვეს ამისთანა რამეები ეხლა. ინიციატორებშიც.. მადლობა მათს მარტო თანაგრძნობას ამ კარგ საქმისადმი! სხვას მაინც და მაინც ბევრს ვერას მოველით მათგან.

ესეც კარგია, სხვებში ვერც ეს დავინახეთ და...

სულითა და გულით ვისურვებთ ამ ახალი, ნორჩი საზოგადოების წარმატებას! ღმერთმა ჰქნას, რომ ეს საზოგადოება არ დარჩეს მინუთური შთაბეჭდილების ნამყოფად, როგორც საზოგადოთ სჩვევია ჩვენში ყოველ ამ გვარ საქმეს!!

დასასრულ არ შეგვიძლია არ ვუძღვნათ გულითადი მადლობა უუ. ინიციატორებს, რომელთაც იკისრეს მაინც ამისთანა საქმის დაარსება!

## დღიური

*** პარასკევს, 10 აგვისტოს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ზალაში მოწვეულნი იყვნენ მცირე წლოვანთა ყრმათა საზოგადოებისაგან ყველა მსურველნი და თანამგრძნობნი ამ საქმისა. სულ ორმოც-და-ათამდე დაესწრო კერძო პირნი ორივე სქესისა. ინიციატორებმა, უუ. ტრესკოვსკიმ და პეტროვმა, გამოსთქვეს მიზანი და სარგებლობა ამ საზოგადოებისა, რომლის პროგრამმა დაახლოებით უნდა იყვეს შემდეგი:

1) საზოგადოებამ უნდა გამართოს სადგომი სახლი (პრიუტი) უსაქმო და უბინაო ობლებისთვის; ამ სახლთან უნდა იყვეს დაარსებული ან სახელოსნო რამ და ან შკოლა, რომელშიაც ისწავლიან ეს ობლები;

2) ბარყვნილ - მაწანწალა ბავშვებისთვის საზოგადო სახლი, რომელიმე სახელოსნოთი, ან შკოლით;

3) საზოგადოებამ უნდა გააშენოს სადმე ქალაქს გარეთ ერთგან, ან რამდენიმე ალაგას (როგორც შეძლება ნებას მისცემს) კოლონიები, სადაც ამ გვარი ბავშები ისწავლიან მიწის მუშაობას და წერა-კითხვას;

4) საკვირაო და ჩვეულებრივი შკოლები ობლებისა და უბინაო ბავშებისთვის;

5) დაარსოს საავათმყოფო უბინაო ობლებისთვის და საზოგადო სახლები იდიოტთ (სულელთ), უპატრონო ბავშვებისთვის და

6) მზრუნველობა უპატრონოთ, ჩუმათ გადაგდებულ ყრმებზედ, რომლებთ რიცხვი, როგორც ჩვენც ვიცით, ბევრია.

ეს პროგრამმა საზოგადოთ ყველას ძალიან მოეწონა; მაგრამ ზოგიერთებმა მისცეს შენიშვნა უუ. ინიციატორებს, რომ ამ ვრცელი პროგრამმის ასასრულებლათ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს დიდი შეძლება და რადგანაც ეს შეძლება წინა-პირველად არსაიდამ უჩანს, ურჩიეს პროგრამმის შემოკლება; მაგრამ ეს შენიშვნა კრების ზოგიერთ წევრთ უყურადღებოთ დარჩა და გადასწყვიტეს ამოირჩიონ შვიდი კაცი, რომელთაც უნდა შეადგინონ ზემო მოყვანილი შინაარსის პროექტი, რომლის შემდეგ საზოგადოებას შეეძლება გაიგოს, როგორი მატერიალური საშვალება ექნება მას ხაზინიდამ და კერძო პირთაგან. ამ საშვალების-და-გვარათ საზოგადოება დაიწყებს მთელ ამ პროგრამმის, ან წინა-პირველად იმის უმთავრესი მიზნის სისრულეში მოყვანას.

იქვე ამოირჩიეს კენჭით შემდეგი შვიდი ნამდვილი წევრი კამისიისა:

1) ტრესკოვსკი — — — 45 ხმით
2) პეტროვი — — — — 38 —
3) ხეჩატუროვი — — — 35 —
4) მატინოვი — — — — 26 —
5) სემინარიის რექტორი — 21 —
6) უშაკოვი — — — — 21 —
7) რეიხი — — — — — 21 —

და შვიდიც ამათი კანდიდატები:

1) ნიკიფოროვი — — -- 20 ხმით
2) არწრუნი — — — — 18 —
3) მერკლინგი (პოლიცმ.) 13 —
4) შმისსა— — — — — 13 —
5) კასუმოვი — — — — 12 —
6) პავლოვსკი — — — 11 —
7) იოსელიანი (გიორგი)— 10 —

შეადგინეს პროტოკოლი, რომელზედაც ყველა დამსწრე წევრთ ხელი მოაწერეს და სხდომა გათავდა. მეორე სხდომა კამისიის წევრებისა დანიშნეს 17 მარიამობისთვეს, როდესაც იმათ უნდა გაინაწილონ შრომა შესახებ პროექტის შედგენისა.

ამითი გათავდა პირველი სხდომა ამ კეთილი და მეტად სასარგებლო საქმისა!

## „დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღიდამ, 8 აგვისტოს. აგერ სრული ორი თვე მეტია, რაც წვიმის წვეთი არ დაგვინახამს! ძრიელ სიცხეებია! როგორც აქაური მოხუცი კაცები ლაპარაკობენ, ჯერ არ შეხვედრიან ამგვარ სიცხეებსა სიღნაღში.

ამ ორი კვირის წინათ სიცხე 40 გრადუსამდისინ იყო, საღამოთი—35 გრადუსი.

პურის მოსავალი თუმცა კარგა ხანია გათავდა მთელ ქიზიყში, ყველამ მომკო, გალეწა, მოამზადა ხორბალი, მაგრამ სიძვირემ მაინც პირი ვერ მოიბრუნა, უფრო ფასი მოემატა!

აქ, ადგილობრივ სიღნაღში საშუალო ფქვილი ფუთი ისყიდება ცხრა [illegible], აგრეთვე ძთელი მაზრა [illegible] უჩივის. უწინ ასეთი სიძვირე არა ჰყოფილა, როგორათაც ეხლა. ამის მიზეზათ მომაქვს მე ისა, რომ სიღნაღში ალაფები გახშირდნენ! რა გინდ დიდი იაფობა იყოს, ძრიელ იაფათაცა ჰქონდეთ ნაყიდი, მაინც აქაური ალაფი ექვს აბაზ, მანეთს ქვევით არ გაჰყიდის ფქვილსა; თუ ცოტა რამ სიძვირის ხმაც გაიგეს, ღმერთმა დაიფაროს, ერთი ორად აქცევენ! ამის მიხედვით სოფლელმა გლეხებმაც ყურები გამოიბლერტეს, გაიგეს ყველაფერი და იმათაც მოუმატეს ფასები თავიანთ წვალებით ნამუშავარს. ესენი მაინც კიდევ სინიდისიანათ აფასებენ, მაგრამ ალაფებმა კი არ მოიშალეს თავიანთი უსინიდისო ჩვეულება. საწყალ კაცებმა, ხელოსანმა ხალხმა, როგორ უშველონ თავიანთ თავს, როცა აქაური პატიოსანი მოქალაქეები ამაზედ ყურადღებას არ აქცევენ! დღეს ყველანი ძმები ვართ, გლახაც და მდიდარიც, ყველამ უნდა ვიგრძნოთ ერთმანეთის შეწუხება, ერთმანეთის დარდები; მაშასადამე მოვალენი ვართ, რომ მივცეთ შემწეობა ორიოდე სიტყვით. იმ ჩვენ საწყალ მეზობლებს, იმ ქვრივოხერ-უპოტრონოებს, რომლის შეწუხებას ყოველ დღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომლებიც უმეტეს ნაწილათ თქმის მშიერ-მწყურვალენი არიან. ქალაქმა რათ უნდა მისცეს ნება ალაფებს, რომ მუდამ ჟამს ტაქსის მაღლა გვჰყიდონ? რატომ ყურადღება არ უნდა მიაქციონ ამ საჭირო საგანზე? მაშ რისთვის არიან საზოგადოებიდამ ამორჩეული დეპუტატები?

ამ ჩვენ პრისტავის პომოშნიკს მაინც რადა დაჰმართებია! აქებდნენ, ყოჩაღიაო და ამასაც, როცა მოშივა, ალაფებთან მაშინ მივარდება სწრაფლათ უმალ ფქვილის მაზანდას ჰკითხავს და როცა ეტყვის: ბარინ დევით აბაზ ფუთ!—

თვალებს გადაუტრიალ - გადმოუტრიალებს, თითს დაუქნევს და ეტყვის: „პასტოი ია ტებე დევიტ აბაზ დამ“! ჩამოჯდება, სკამეიკაე და შეადგენს „აქტს. რაც მოედანზე ხალხია ყველას მოწმათ ჩასწერს.

დღეში 12, 13 აქტს შეადგენს სხვა-და-სხვა საქმეებზე, მაგრა ერთხელ მისი ძალა ვერ გვიჩვენა!

ჰალბათ ესეც წელიწადმა მოიტანა!

ბევრი აქტი შესდგება, რო აქაურმა ალაფებმა თავიანთი ჩვეულება არ მოიშალონ, თუ მოქალაქეებმა და დეპუტატებმა სხვანაირი ყურადღება არ მიაქციეს ამათ და ნამდვილი კვალი და გზა არ უჩვენეს.

ამ ალაფებს დაწყობილება აქვთ მოედანზე რაც რამ გარედამ შემოვახორბალი, ფქვილი, ქერი და სხვა, დილათ, სადილობამდისინ, ალაფებს ნება არა აქვთ ყიდვისა, მაგრამ იქცევიან სულ წინააღმდეგათ: ზოგნი გაბედვით ყიდულობენ დილითვე და ზოგსა კაცები ჰყავსთ დარიგებული. ამნაირათ თ ვიანო

დუქნებს აესებინებენ და შემდეგ ერთიორად ჰყიდიან ჩვენზე. აი, ბატონო, ასეთი უწესოება გახლავთ აქა და არავინ ყურადღების მიმქცევი არ არის!

ვგონებ, რომ დრო არის გაღვიძებისა! დარწმუნებული ვარ, რომ ყურადღებას მიაქცევენ ეს ჩვენი პატიოსანი მოქალაქეები ამგვარ უსამართლობას!

პოხრო.

---

## წერილი გორიდამ

აჰა, თითქმის ორი წელიწადი სრულდება, რაც ომიანობა გათავდა და სიძვირეს არა მოაკლდა-რა! ჰკითხავთ გამსყიდველს მიზეზს ამ გვარის გაუგონარის ფასებისა და ის მიგითითებს ომიანობაზედ, მოუსავლობაზედ, კალიის მოსვლაზედ და სხვა ამ გვარ ზღაპრებზედ, მაშინ როდესაც ომიანობა კარგა ხანია გათავდა, მოსავალიც კარგი მოვიდა და კალია ბევრს თვალითაც არ უნახავს იმ ადგილებში, საიდგანაც ხალხის ცხოვრებისათვის საჭირო ხორაგი შემოდის ჩვენს ქალაქებში. სრულიადაც ამისთანა რამეები არ არის მიზეზი სიძვირისა. ნამდვილი მიზეზი, თუ გსურთ გაიგოთ, ის არის, რომ გამსყიდველებს გამჯდარი აქვსთ ძვირათ გასყიდვის გემო და რაც უნდა იეფათ შეიძინონ გასასყიდი რამ, მაინც ძვირათ ჰყიდიან; ამას გარდა სიძვირის მიზეზი ჩარჩებიც არიან: დილით ადრე, ვინემ მფრინველი გაიღვიძებდეს, ჩარჩი საქალაქო სასწორთან დაიბადება, განუშორებლად თითქმის სულ იქ ტრიალებს, ან ქალაქ გარეთ შემოსავალს გზაზედ დახვდება მომტანს, იქვე, ვინემ სასწორთან მიიტანდეს, ურიგდება და ბეს აძლევს ამ პირობით, რომ სასწორზედ ვინც უნდა ევაჭროს, ისე ძვირად დაუფასოს, რომ მსყიდველმა ვერ იყიდოს 12 საათამდე და რა რომ შესრულდა 12 საათი, ჩარჩი დაუთვლის თანხმად შერიგებისა ფულს, ასწევს და წაიღებს თავის სახლში, ანუ დასაწყობ ადგილში (სკლადში). მერე გამოიტანს სასწორზედ და ჰყიდის, რასაკვირველია, მოგებით.—არ არის დიდი ხანი, რომ გორში ვისაც საქალაქო სასწორი აქვს აღებული იჯარით, ადგილი უცვალა, რადგანაც ამას წინათ სასწორი იყო გამართული ერთის მოვაჭრის დუქნის მახლობლად და რომ იმ მედუქნეს და სხვა ზეზე მოვაჭრეებს არ ევაჭრათ იმ სახით, როგორც ზემოთ ვსთქვი, და ის დუქანი არ ყოფილიყო დასაწყობ ადგილად,—გადმოიტანა ის სასწორი იმ ადგილიდგან, მახლობელს ადგილზედ, (15 ანუ 20 საჟენზედ), მაგრამ არცარა ამან უშველა! ზოგიერთი ამით უფრო დაუახლოვდა თავის სახლსა, სადაც უფრო ადვილად შეაგროვებს ნასყიდს და ადვილათაც გამოიტანს სასწორზედ გასასყიდად. მოსასპობად ამ უწესოებისა, ვითომ გორის საზოგადოების მმართველობამ ეხლა ერთი კაცი დააყენა, რომელსაც დაუნიშნა წელიწადში ოცი თუმანი ჯამაგირი, მარამ იქვე არ არის, რომ მმართველობა ტყუილად დაჰკარგავს ამ ფულსა! სანამ ეს დაყენებული კაცი გაიღვიძებდეს, მინამ ჩარჩს თავისი საქმე გამართულიც აქვს; ამ სახით საფიქრებელია რომ, ამ გვარ უწესოებას არა ეშველება-რა, თუ სხვანაირი, მომეტებული სასტიკი ზომიერება არ მიიღო მმართველობამ და არ აუკრძალა ზეზელა მოვაჭრეებს და თვით იმ სასწორზედ მყოფთ ამწონავთ პირთ, რომელნიც ჩარჩებზედ მომეტებულს საქმეს შვრებიან: სასწორზედ შემოსულს თვითონ ეს მწონავები ჰყიდულობენ (ამათ ვინ დაასწრობს ყიდვას), და ჰყიდიან, როგორც სურსთ! სასწორს ერთი ზედამხედავი მწონავი ეყოფა, ჩვენს სასწორს კი ერთი დასტა მწონავი ჰყავს, საკუთრათ იმ მიზნით, რომ ამ შემთხვევით ისარგებლონ.

აი ასე შევიწროებაში არის ხალხი, მომეტებულად შეუძლებელი.

ეს მოვაჭრენი, რომელნიც ამ გვარ შემთხვევით სარგებლობენ, ზოგი სასწორის მოიჯარადრის მეგობარია, ზოგი მოხელეების მეგობარი და ნათესავია და ვინ არის გულის შემატკივარი? თუმცა ერთი ჩლენი სამოქალაქო მმართველობისა, ა. თ—ვი, ძალიან გულ-ხურვალეთ ცდილობს მოსპოს ამ გვარი უწესოება და როდესაც კი შეხვდება სასწორზედ, ფხიზლათ არის, მაგრამ რა ქნას ამ ერთმა! ქალაქი არც ისე ძალიან პატარა არის, რომ ერთსა და იმავე დროს ყველგან თვალი დაიჭიროს! ერთ საათში რომ ერთს ადგილას იყოს, მეორეზედ სხვაგან გაუჩნდება საქმე და იქ უნდა მიხედოს და სანამ იქიდგან უკან დაბრუნდება, საქმე მიფანიერებული იქნება! აი ეს ამბებია ჩვენში, (მგონი სხვაგანაც) და რაც წამალი მოუხდება, ამას თვით მკითხველი მიხვდება!

* * *.

10 აგვისტოს.

---


# განცხადებანი

„ივერიის" რედაქცია აცხადებს, რომ ვისაც სურს ნახევარი წლის ჟურნალი მიიღოს ივლისიდამ, შეუძლია დაიბაროს შემდეგის პირობით:

თფილისში მცხოვრებლებს 5 მ. 50 კ.
გარეშე მცხოვრებლებს — 6 მ. 50 კ.

ვისაც 1 ნომრიდამ უნდა მიიღოს მთელი წლის ნომრები, ამ პირობით დაიბაროს:

თფილისში მცხოვრებლებს 11 მ.
გარეშე მცხოვრებლებს — 12 მ.

ადრესი: თფილისი, სოლოლაკი, კონსულის ქუჩა № 4 და ჩარკვიანის წიგნის მაღაზია.

(3—2)


| რა გზა. | დილ. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი. . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ. | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 9 აგვისტ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 40 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 70 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 40 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 80 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ . | 7 | 5 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 60 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 60 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 60 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვრიშვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცივი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და გაბოვი—გულისა და შინაგ ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ქურავლევი—კანისა და ვენერიულის, გახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ქურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, გაბოვი, ბაბაევი და გახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ქურავლევი.

ორბეხტი—კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Августъ 1879 г. Типографія Меликова.* გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.